ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ვ 657-24

"11" 04 2024 წ.

გაეცნო და თანახმა ვარ
18.04.2024წ

დადგენილება №002738
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

11.04.2024წ. ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მამუკა ჯაყელმა, განვიხილე, 2024 წლის 18 იანვრის №002738 მითითება და 2024 წლის 19 თებერვლის №002738 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "მალტი ფლეგს"-ის (ს/ნ:406180779, მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, დიდი დიღმის დასახლება, III მ/რ, კორპ №34, №37-ის მიმდებარედ; კორპუსი №34-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №5/34) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IIIმ/რ, კორპ. №34, №37-ის მიმდებარედ; ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი №37-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი №5/34), №01.10.08.005.147 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს. "მალტი ფლეგს"-ის მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6366525 (AR1936834) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: +0.00 ნიშნულზე "ა1-ა" მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის დახრა; ბლოკის ნაცვლად ნაწილობრივ მოწყობილია მონოლითის ტიხრები; "3" და "დ" ღერძების კვეთასთან გაუქმებულია კარი; "გ-დ" მონაკვეთში კიბის უჯრედთან დამატებით მოწყობილია ბლოკის კედელი; "3" და "მ" ღერძების კვეთასთან დამატებულია ღიობი; "ე-ზ" მონაკვეთში გაუქმებულია მონოლითის კედელი; "3-4" მონაკვეთში "კ" ღერძზე კიბის უჯრედთან კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი; "1-4" მონაკვეთში "კ" ღერძზე დამატებულია ღიობები; "2-3" მონაკვეთში "ა-გ" ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია შახტები; +60.80 ნიშნულზე გაუქმებულია კიბის უჯრედის კედელი, "ზ-გ" მონაკვეთში "4" ღერძზე დამატებულია ღიობი.

ქ. თბილისი 0160, ყ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

Scanned with CamScanner

2024 წლის 18 იანვარს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, სამართალდამრღვევის მიმართ გაიცა №002738 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადა, ობიექტის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2024 წლის 19 თებერვალს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №002738 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2024 წლის 08 აპრილს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვის სხდომა, რომლის შესახებაც, კანონით დადგენილი წესით, ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა მხარის – **შ.პ.ს. "მალტი ფლეგს"-ის** დირექტირის წარმომადგენელი (მინდ. №240239553, 28.02.2024) – **აბანობ სამერ სამი შაფიკს,** რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. განაცხადა, რომ მხარე ეთანხმება დარღვევებს და ითხოვა დაჯარიმება.

2024 წლის 11 აპრილს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ კვლავ არ არის შესრულებული მუნიციპალური ინსპექციის, 2024 წლის 18 იანვრის №002738 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, **შ.პ.ს. "მალტი ფლეგს"-ის** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IIIმკ/რ, კორპ. №34, №37-ის მიმდებარედ; ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი №37-ის - მიმდებარედ, (ნაკვეთი №5/34), №01.10.08.005.147 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6366525 (AR1936834) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: +0.00 ნიშნულზე "ა1-ა" მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის დახრა; ბლოკის ნაცვლად ნაწილობრივ მოწყობილია მონოლითის ტიხრები; "3" და "დ" ღერძების კვეთასთან გაუქმებულია კარი; "გ-დ" მონაკვეთში კიბის უჯრედთან დამატებით მოწყობილია ბლოკის კედელი; "3" და "ზ" ღერძების კვეთასთან დამატებულია ღიობი; "ე-ზ" მონაკვეთში გაუქმებულია მონოლითის კედელი; "3-4" მონაკვეთში "კ" ღერძზე კიბის უჯრედთან კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი; "1-4" მონაკვეთში "კ" ღერძზე დამატებულია ღიობები; "2-3" მონაკვეთში "ა-გ" ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია შახტები; +60.80 ნიშნულზე გაუქმებულია კიბის უჯრედის ტამბური; "ბ-გ" მონაკვეთში "4" ღერძზე დამატებულია ღიობი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და

Scanned with CamScanner

სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "მალტი ფლეგს" დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IIIმკ/რ, კორპ. №34, №37-ის მიმდებარედ; ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი №37-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი №5/34), №01.10.08.005.147 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6366525 (AR1936834) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "მალტი ფლეგს"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. "მალტი ფლეგს"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმის გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

Scanned with CamScanner

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი



Scanned with CamScanner

საგადასახადო დავალება

PAYMENT ORDER

7812

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

წარდგენის თარიღი / Document submission date: 29/04/2024

გადამხდელი / sender

შპს მალტი ფლეგს, 406180779

რეფერენსი / Ref. Num.

ALT011898741

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account

GE55TB7950836050100001

თანხა / Amount

15000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად Amount in words

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name

შპს მალტი ფლეგს, 406180779

თხუთმეტი ათასი ქართული ლარი 00 თეთრი

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code

406180779

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტი)

გადარიცხვის საკომისიოTransfer Fee

20.00 GEL

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury

300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების / შესრულების თარიღი Document receipt / execution date

29/04/2024

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილების N 002738 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა

Signature

ხელმოწერა

Signature

ბ.ა.

თიბისი ბანკი TBC BANK 328008 კოდი CODE TBCBGE22

ALT011898741 29/04/2024 12:58:53

ნატო გაგნიძე

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციებისწარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას. საგადახდო დავალების შესრულების პირობები და საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

Scanned with CamScanner